

2008 წლის საქართველო - რუსეთის ომის დროს ჩადენილი დანაშაულების გამოძიების საკითხზე

ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტი მნიშვნელოვნად მიიჩნევს 2008 წლის საქართველო - რუსეთის ომის დროს ჩადენილი დანაშაულების გამოძიებასთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხების განმარტებას.

1. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში (ე.წ. ჰააგის სასამართლო (ICC)) საქართველო- რუსეთის 2008 წლის ომთან დაკავშირებული დანაშაულების გამოძიება.

ა. ამჟამად სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში (ე.წ. ჰააგის სასამართლო (ICC)) საქართველო- რუსეთის 2008 წლის ომთან დაკავშირებული დანაშაულების გამოძიება (investigation) არ მიმდინარეობს. სასამართლოში საქართველოს შესახებ სიტუაცია მოკვლევის ეტაპზეა (examination of the situation). საქმის მოკვლევის ეტაპზე სასამართლო აკვირდება ქვეყნის შიდა გამოძიებას. თუ სასამართლო დარწმუნდება, რომ ქვეყანას ან ქვეყნებს (ჩვენს შემთხვევაში რუსეთი და საქართველო) არ სურთ ან არ შეუძლიათ გამოძიება - სასამართლო იწყებს საქმის დასაშვებობის საკითხის განხილვას. ეს გულისხმობს, რომ სასამართლოს პროკურორის ოფისი შეისწავლის ფაქტებს - არჩევს კონკრეტულ საქმეს ან საქმეებს ბრალდებულების წინააღმდეგ. შესაბამისად, სასამართლო სიტუაციის ზოგადი ანალიზიდან გადადის ინდივიდუალური საქმეების არჩევაზე. სასამართლო საქმის დასაშვებობის შეფასებისას ხელმძღვანელობს ორი კრიტერიუმით:

- რამდენად მძიმეა საქმე (gravity of the crimes), რაც ჩვენს შემთხვევაში ეთნიკური წმენდას გულისხმობს;
- რამდენად მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები (interest of justice) გამოძიების დაწყებას (დაზარალებულის ინტერესი, ფაქტებზე ხელმისაწვდომობა და ა.შ.).

სასამართლოს ეს ეტაპი საქართველოს საქმეზე ჯერ არ გაუვლია.

ბ. საქართველოს ხელისუფლება 2012 წლის 14 აგვისტოდან იძიებს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომთან დაკავშირებულ დანაშაულის ფაქტებს. საქართველოს ხელისუფლებას გამოძიების ვალდებულება აქვს როგორც რომის წესდების ისე საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის მიხედვით - ეს გამოძიება 2008 წლის 14 აგვისტოს დაიწყო დანაშაულის ფაქტებზე და არა კონკრეტული პირების მიმართ. ეს აუცილებელი იყო ობიექტური და მიუკერძოებელი გამოძიების წარმოებისათვის. ამასთან, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ნათლად აქვს განსაზღვრული რა ინციდენტების გამოძიებით არის დაინტერესებული (იხილეთ სასამართლოს ბოლო საჯარო ანგარიში - <http://www.icc-cpi.int/.../OTP%20-%20Report%20%20Preliminary%...> .

- სასამართლოს ანგარიშის თანახმად, მისი ინტერესის საგანს წარმოადგენს ქართველების წინააღმდეგ განხორციელებული ეთნიკური წმენდის ფაქტებს. სასამართლოს არ აინტერესებს ქართველების მხრიდან სხვა ეთნიკური ჯგუფის გენოციდის ფაქტებს.

გ. საქართველოს ხელისუფლება წლების მანძილზე თანამშრომლობდა სასამართლოს მიერ წარმოებულ გამოძიებასთან. საქართველოს ხელისუფლება 2008 - 2012 წლებში, წლიურად სასამართლოს უგზავნიდა ინფორმაციას მიმდინარე გამოძიების შესახებ. რომის წესდების შესაბამისად, სასამართლო ყოველ წელს

მიმართავს კონკრეტული შეკითხვებით როგორც საქართველოს ისევე რუსეთის ფედერაციას. ეს დოკუმენტები არ არის საჯარო, მაგრამ გამოძიებისთვის ხელმისაწვდომია.

2. ქართულ საზოგადოებისათვის ცნობილი ბევრი საჯარო პირი სპეკულირებს ფაქტით, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში საქართველოს საქმე არ წაუღია, მაგრამ არცერთი მათგანი არ საუბრობს:

ა) რატომ არ წაიღო საქართველოს ხელისუფლებამ საქმე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში;

ბ) 2008 წლის ომთან დაკავშირებულ დანაშაულის ფაქტებზე ორ სხვა საერთაშორისო სასამართლოში საქართველოს მიერ შეიტანილ განაცხადებებზე;

სრული და მკაფიო სამართლებრივი სურათის ასახვისათვის, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია შემდეგი განმარტება:

ა) ძალიან დაბალია რუსეთის წინააღმდეგ წარმოებული საქმის წარმატებით დასრულების ალბათობა. დასაშვებობის ეტაპის გადალახვისათვის აუცილებელია საერთაშორისო სასამართლოებში რუსეთის მხრიდან forum shopping-ის ბოროტად გამოყენების თავიდან აცილება. დღემდე რუსეთი საქართველოს სხვა 2 საერთაშორისო სასამართლოში ედავებოდა, რომ საქართველო ერთი საკითხის განხილვას ცდილობდა რამდენიმე საერთაშორისო სასამართლოში, ამ მოტივით რუსეთი რამდენიმე საერთაშორისო სასამართლოს სთხოვდა ელიარებინათ, რომ მათ არ აქვთ საქმის განხილვის იურისდიქცია.

2008 წლის რუსეთი-საქართველოს ომის დროს ჩადენილი დანაშაულების გამოძიების საკითხზე მსჯელობისას მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ საერთაშორისო სასამართლოს და შიდა გამოძიებას ჭირდება მტკიცებულებათა მოპოვება სისხლის სამართლის პრინციპებისა და სტანდარტის შესაბამისად. აღნიშნული კი, მოწმეების დაკითხვის გარდა მოითხოვს გამოძიების წარმოებას ოკუპირებულ ტერიტორიაზე. ეს გარემოება გამოძიების ყველაზე რეალური და რთული პრობლემაა, რადგან რუსეთი არცერთ საერთაშორისო ორგანიზაციას ოკუპირებულ ტერიტორიებზე მუშაობის საშუალებას არ აძლევს (წჯსკ-ს გარდა, რომელსაც განსხვავებული მანდატი აქვს).

ამას გარდა, არსებობს პოლიტიკურ-სამართლებრივი რისკები. კერძოდ, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო ახალი შექმნილი სასამართლოა და მისთვის ძნელია საერთაშორისო სისხლის სამართლის დანაშაულის ჩამდენი პირების დაკავება. ამის ნათელი მაგალითია სუდანის პრეზიდენტი, რომელზეც სასამართლოს დევნა აქვს გამოცხადებული და რომელიც დღემდე არ არის დაკავებული. ნაკლებად სავარაუდოა სასამართლომ გასცეს მაგ. რუსეთის პრეზიდენტის ან რუსეთის ფედერაციის მაღალი თანამდებობის პირის მიმართ დაკავების ორდერი. რუსეთის ფედერაციის გაცხადებული საგარეო პოლიტიკისა და ურთიერთობების გათვალისწინებით ყველასთვის ნათელია თუ რა სირთულეები ელის სასამართლოს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ან სხვა თანამდებობის პირის მიმართ სამართლებრივი დევნის გამოცხადების შემთხვევაში. რუსეთ-საქართველოს შემთხვევაშიც სასამართლო განწირული იქნება წარუმატებლობისათვის, ამ წარუმატებლობამ კი შეიძლება მძიმე დალი დაასვას სასამართლოს იმიჯს და დიდი რისკის ქვეშ აღმოჩნდეს მისი საქმიანობა. აღნიშნულის გათვალისწინებით საქართველო-რუსეთის საქმის საქართველოს სასარგებლოდ გადაჭრის ძალიან მწირი ალბათობაა.

ბ) საქართველოს მთავრობამ 2008 წლის ომთან დაკავშირებულ დანაშაულების ფაქტებზე დაიწყო გამოძიება ორ საერთაშორისო სასამართლოში. საქართველოს

ხელისუფლებამ 2008 წლის აგვისტოში ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში (ECtHR) და მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოში (ICJ) 2 სახელმწიფოთაშორისი განაცხადი შეიტანა, რომლებშიც შიდა გამოძიების ეტაპზე მიღებული მტკიცებულებები გამოიყენა. ECtHR-ში სასამართლომ საქმე დასაშვებად სცნო და არსებითი განხილვა დაიწყო: ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია, სასამართლოსთვის ყველა დამატებითი მტკიცებულების წარდგენა. რაც შეეხება ICJ - ს, სასამართლომ აღიარა, რომ საქართველოს და რუსეთს შორის არსებობს დავა ეთნიკური წმენდის საკითხზე, მაგრამ ჩათვალა, რომ საქართველომ მოლაპარაკებების ეტაპი არ აქვს ამოწურული და შესთავაზა ამ პროცედურული ნაწილის დაკმაყოფილება. 2012 წლის ოქტომბრის მდგომარეობით რუსეთი თანახმა იყო მოლაპარაკებები დაეწყო, რაზეც მოწმობს საგარეო საქმეთა სამინისტროებს შორის გაცვლილი ოფიციალური ნოტები. სამწუხაროდ უცნობია, თუ რა ბედი ეწია ამ მოლაპარაკებებს.

იმედს გამოვთქვამთ, რომ აღნიშნული განმარტებები ნათელს მოფენს საქართველოს სახელმწიფოს ინტერესებთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან სამართლებრივ საკითხებს.